წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 15 კ. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი აგვისტოს 23 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 10 მან.
ცალკე ნუმერი . 15 კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] არა უმეტეს [illegible] გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 109 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 109

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას თან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი**. შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი**. 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი**. ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 21-დან, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი რუსულ ოქროს სერიიდან

თვითმპყრობელობის ნანგრევების ქვეშ: პროვოკაცია, ღალატი, დახვრეტა.

დრამა 5 ნაწ. მონაწილეობით ვ. პავლოვისა და მ. რუტცის.

ყველაფერში ქალია დამნაშავე. სახუმარო.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 21-დან ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

მისი თვალები

დრამა 5 ნაწ. მონაწ. რუდნიცკის, სოლოვიოვის და მორავსკის.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია სპენის საკეთებელი სოდა და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

ქალაქის ეროვნული ელფერი.

ქუთაისი ეროვნულ საქმეში მაგალითს უნდა აძლევდეს დანარჩენ ჩვენს ქალაქებს.

წინათ, რასაც ვერ ვახერხებდით, დღეს ადვილია.

მართალია, ქალაქის საბჭო და გამგეობა ყოველთვის ქართული იყო ქუთაისში, მაგრამ მამები ქალაქისა ისე არ იყვნენ დაინტერესებული ქალაქის ეროვნულ ნიადაგზე მოწყობისა, როგორც მთელი ხალხი...

გამბედაობაც ნაკლები ჰქონდათ.

უკეთ იცოდენ რუსული; თუ არ ეშინოდათ, ერიდებოდათ მაინც გაბატონებული ერისა....

სულით ისე გავლატაკდით, რომ სადარბაზო ბარათებს და კარების ფირფიტებს რუსულათ ვაწერდით ჩვენ სახელსა და გვარს...

დღევანდელი მესვეურნი კი ისე არ არიან გაქღენთილი რუსული სულით, მათი ამრჩევლები საკმაო თვალყურს ვერ ადევნებენ მათ მოქმედებას, თუ გაქართულებული არ იქმნა ყოველი დაწესებულება თვითმართველობის.

ესეც არ არის საკმაო.

ქალაქი მოწინავე რაზმათ უნდა გამოვიდეს და მთელი ერის მაგიერ მოითხოვოს, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი დღესვე გაქართულებულ იქმნეს.

დასაყოვნებელი არ არის რა.

რაც ყველასაგან უსამართლოებად არის მიჩნეული, დღესვე სამართლიანათ უნდა მოეწყოს.

და განა მეტი უსამართლობა წარმოიდგინება, ვიდრე სამართლის უცხო ენაზე წარმოება? განა მეტი დაბეჩავება იქნება, ვიდრე ხარკის გადახდისთვის ადამიანს მოსთხოვო უცხო ენის ცოდნა, ან და თარჯიმანი მოაყვანინო?

თუ სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ენის შემოღება ერთგვარ სახელმწიფოებრივ აქტებისა და მოთხოვნილების შემდეგ შეიძლება, თვითმმართველობას შეუძლია თვისი უფლებით ბრძანება გასცეს, ყველა კერძო დაწესებულებაში დაუყონებლივ ქართული ენა იქმნას შემოღებული; ბანკებში, მაღაზიებში...

ქალაქის ქუჩების სახელები ხომ ყოველ წარმოდგენას ქართულ ქალაქზე აქარწყლებს.

თითქოს სადმე ტულაში იყო, ან რიაზანში, ისე მიჰყვება ერთი ქუჩა მეორეს:

ოლდენბურგის,
ივანოვის,
გაგარინის,
ლევაშოვის,
რუბანის,
მიხაილოვის,
ვორონცოვის.....

ვინ არიან ეს პირები, რომელთა სახელი უკვდავათ გაუხდიათ!...

სულ ისეთი ხალხი, რომელთა მოგონება მწარეთ თუ ჩაგაფიქრებს, თორემ საიმედოს ვერაფერს ეტყვის სულსა და გულს...

სიამოვნებით მოვიგონებთ პუშკინს, გოგოლს, ისე როგორც გეტეს, დანტეს და მათ სახელებს კიდევაც დავარქმევთ ქუჩებს, ან სხვაგვარათ გავავრცელებთ მათ სახელს საქართველოში, მაგრამ ვორონცოვის, გაგარინის და სხვა ათასის მოგონებისგან, იმედი გვაქვს, გაგვანთავისუფლებს პირველ-კრებაზედვე ქალაქის ახალი საბჭო.

თუ წარჩინებულნი და დიდებულნი ვერ იცლიან ამ მათის აზრით თუ სიტყვით მცირე საქმისთვის, შენ აიღე შენი მადლიანი ხელი, ღარიბო ხელოსანო, პატარა დუქნის პატრონო, მეეტლე, დალაქო, თერძო, მეფურნე და ამოხატე შენს დარაბზე, სახლის კარებზე, ეტლის კოფოზე ასოები, რომელიც 2200 წლის წინათ გამოიგონა საქართველოს გენიამ.

Argon.

სუხომლინოვის საქმე.

ახლა ყველას ენაზე ის აქვს, რომ რუსეთი დაღუპვის პირზე სდგასო, რუსეთს ამ განსაცდელისაგან დახსნა ეჭირვებაო. ამისთანა დროს სისხლისსამართლის პროცესი, ვისაც უნდა ეხებოდეს იგი, საზოგადოების ყურადღებას ვერ გამოიწვევს. მაგრამ მიუხედავად ამისა, სუხომლინოვის საქმე ძლიერ საინტერესო გახდა საზოგადოებისათვის. რით უნდა ავხსნათ ეს? რასაკვირველია, იმით, რომ ეს პროცესი განსხვავებულია, ისტორიულია. როგორც დღევანდელ ომს, ისე მინისტრი სუხომლინოვის მოქმედებას რუსეთის ისტორია ვერ დაივიწყებს.

პირველად უნდა ვსთქვათ, რომ სასამართლოც, რომლის წინაშე გუშინდელი ძლევამოსილი სამხედრო მინისტრი დღეს ქედმოხრილი წარსდგა, სულ სხვანაირია. მას ასამართლებს ხალხი, ნაფიცი მსაჯულები. ძველი რეჟიმის დროს არა თუ არ იყო სასამართლოს ამნაირი ფორმა, ამაზე წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. აქ ცხადათ ვხედავთ დემოკრატიის გამარჯვებას.

ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ პროკურორს ამოუჯდა გვერდით ბრალმდებელათ ნაფიცი ვექილი, როგორც საზოგადოებრივი მამტყუნებელი (**общественный обвинитель**). თუმცაღა ეს ბრალმდებელი, ბ-ნი თეოდოსიევი, დამცველების პროტესტის შემდეგ, გადადგა კერძო მოსაზრებით და განაცხადა, რომ იგი არ შეასრულებს პროკურორის მოვალეობას, —მაგრამ საქმე იმაში არაა, ბ-ნი თეოდოსიევი იქნება ამ მოვალეობის აღმასრულებლათ, თუ სხვა ვინმე: აქ თვით პრინციპია სავულისხმო.

მეორე და უმთავრესი მიზეზი ამ საქმისადმი განსაკუთრებული ყურადღებისა ისაა, რომ სამარცხვინო სკამზე ზის სამხედრო მინისტრი, ის ბიუროკრატი, რომელიც, მეფის შემდეგ, პირველ პირად ირიცხებოდა სახელმწიფოში. ძველი რეჟიმის დროს მინისტრები კანონს გარეშე იყვნენ, ესე იგი ამათ კანონზე მეტი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდათ. მინისტრებს პასუხს ვერავინ მოსთხოვდა, რა დანაშაულობაც არ ჩაედინათ.

რას აბრალებენ სუხომლინოვს? სამშობლოს ღალატს! როგორც საბრალმდებლო ოქმი ასაბუთებს, ის ცდილობდა, რომ მტრის გამარჯვებისათვის ხელი შეეწყო. ამაზე მეტი დანაშაულობა ადამიანისა, რაღა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია. სუხომლინოვმა მიიღო თავის სამშობლოსაგან ყველა ფერი, რაც კი შეიძლებოდა: ჩინები და ორდენები (მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა), საზოგადოების პატივი, სიმდიდრე. და ამ მთავრობას, ამ სახელმწიფოს, ამ სამშობლოს, რომელმაც ასე უხვად დააჯილდოვა იგი, სუხომლინოვი ღალატობს!

ამ ბოლო დროს ხშირად გაიძახიან ხოლმე, რუსის ხალხმა მამულის სიყვარული ვერ გამოაჩინაო. აქ არა თუ მამულის სიყვარული არაა, რაღაც სხვა ადამიანის უკიდურესათ დამამცირებელი თვისებაა. სამშობლოს ღალატობს იგი, ვინც მტრისაგან იმის დაცვა იკისრა!

მაგრამ ჯერ სუხომლინოვი სასამართლოს დამნაშავედ არ უცვნია. ვინ იცის, ეგებ გაამართლონ. მაშინ რუსეთს ერთი სამარცხვინო საქმე მაინც აშორდება...

დ. გურული.

სამწუხარო მეტოქეობა.

(ბ. კვიცარიძის წერილის გამო).

ჩვენში ბევრი სწერს.

უმთავრესად ხმოსნები.

დღეს პოლიტიკოსიც მრავალია.

დაწერილის გავრცელებას კი არავინ კისრულობდა.

შავ-მუშაობათ არის მიჩნეული!

ამიტომაცაა, მაღაზიებში, თაროებზე ობდება წიგნები, და გაზეთები აუარებელ ზარალს აძლევს გამომცემელთ.

ხალხს სწყურია წიგნიცა და გაზეთიც. მხოლოდ საჭიროა მოხერხებულათ მივაწოდოთ გრძნობა-გონების შექმნილი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უმთავრესი მოვალეობას სწორეთ ეს წიგნების მიწოდება არის....

მაგრამ ვერ ახერხებს... სხვა საქმეებს გაყიდვა... ისეთს საქმებს, რომელიც მისთვის სავალდებულო არ არის.

აქა-იქ ჩნდება ორიოდე კაცი, რომ დიდი დანაკლისი კულტურული ცხოვრებისა შეავსოს.

მათ შორის ბ. კვიცარიძის კონტორაც ჩაითვლება.

სათუთად უნდა მას მოვლა. მისმა მაგალითმა, შეიძლება სხვესიც წაახალისოს.

შეიძლება ბ. კვიცარიძის კონტორის მაგვარი დაარსდეს საქართველოს ყოველ ქალაქსა და დაბაში.

ეს დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ჯერ დიდი მომგებიანი არ უნდა იყოს, მაგრამ თავის რჩენა მაინც შეიძლება... შემდეგში კი უეჭველია წიგნების და ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრე უფრო დაჯილდოვებული იქნება.

დღეს ბ. კვიცარიძის კონტორა განსაცდელში ჩავარდნილა.

მეტოქე აღმოჩენილა.

დიდი უსიამოვნება აქვთ ერთ მანერთში. არ ვიცი, რომელია დამნაშავე მაგრამ ერთი კი შეიძლება დადასტურებთ. ვთქვათ; ნუ თუ ცოტა ადგილია საქართველოში, რომ კულტურული მოღვაწეობა დაიწყოს კეთილ-გონიერათ განწყობილმა ადამიანმა, რაღა აქ ატეხთ ერთმანეთს თავს!

კარგი იქნებოდა, ამ საქმეში ჩაერიონ ახლო მყოფი პირები. ან შემარიგებელი კამერა უთანხმოების გამოსარკვევათ, რომ საჭირო და კულტურული დაწყება არ ჩაიშალოს. .

კიდევ უკეთესი იქნება, თუ ორივე მეტოქეს მოუნახავენ სარბიელს სამოქმედოთ.

უმთავრესი ხომ სადგურზე გახსნილი სუვორინის წიგნის შკაფია, რომელიც იჯარით იცემა.

ასეთი შკაფები ყოველ სადგურზეა. სამწუხაროთ, ეს შკაფები არა ქართველთ უჭირავსთ; ამიტომაც ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს იშვიათად შეხვდებით იქ.

რკინის გზის იმ სადგურებზე, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზე სდგას, რა თქმა უნდა, ქართულ ნაბეჭდსა უმთავრესი ადგილი უნდა ეჭიროს.

თუ სხვა გზით არ მოწესრიგდება მეტოქეთა შორის უთანხმოება, დავეხმაროთ ერთ-ერთ მეტოქეთაგან გადაიტანოს მოქმედების ასპარეზი სხვაგან.

მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოსაც ბევრი რამ შეუძლია სამწუხარო მეტოქეობის სასურველად გამოწყობა-დამთავრებაში.

Ar.

რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

დროებითი მთავრობა და მოსკოვის თათბირი.

პეტროგრადი. აგვისტოს 17. მოხდა პირველი სხდომა მოსკოვიდან დაბრუნებულ დროებითი მთავრობისა თვისი სრული შემადგენლობით, რათა გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის მოსკოვის თათბირის შედეგების შესახებ აზრი. ყველამ აღიარა, რომ თათბირს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და განამტკიცა დროებითი მთავრობის მდგომარეობაო. აღნიშნეს საზოგადო ზომები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშავოს დროებითმა მთავრობამ თანახმად თათბირზე გამოთქმულ სურვილისა. იქონიეს მსჯელობა აგრეთვე ფინლიანდიის საქმის მდგომარეობის შესახებ. სხდომას დაესწრო აგრეთვე სამხედრო საქმეთა გამგე სავინკოვი. მოხდა სრული შეთანხმება კორნილოვსა, სავინკოვსა და მთავრობის მთელ შემადგენლობათა შორის ჯარის განახლების შესახებ.

მოსკოვის საეკკლესიო კრება.

მოსკოვი. აგვისტოს 18. მოსკოვის საეკლესიო კრების თავმჯდომარედ მოსკოვის მიტროპოლიტი ტიხონი აირჩიეს 407 ხმით. კრება მორიგ საკითხების განხილვას შეუდგა. სადამოთი კრებამ თავმჯდომარის ამხანაგები აირჩია. არჩეულნი არიან: ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი არსენი, ხარკოვის—ანტონი, მიძინების ტაძრის ძთავარ დიაკონი ლიუბიმოვი და ფლოტის მღვდელი შჩაველსკი. გ. როძიანკო და ევგ. ტრუბეცკი მდივნად. სახელმწიფო სათათბიროს წევრი შეინიმის თანაშემწეებად: სინოდის კანცელიარიის დირექტორი გურიევი და პროფესორი ბენეშევიჩი. კრებამ კორნილოვის დეპეშის გაგზავნა დაადგინა.

ყირიმის სამხრეთ ნაპირის ეროვნულ საკუთრებათ აღიარება.

იალტა. აგვისტოს 16. საზოგადო მოღვაწეთა თათბირმა ყირიმის სამხრეთ ნაპირს, როგორც საკურორტო ადგილს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიაწერა და სურვილი გამოსთქვა, რომ ყველა საკაბინეტო, საუფლისწულო მსხვილ კერძო მესაკუთრეთა მიწა და აგრეთვე სანაპირო ზოლი აიიდან ალუშტამდე—ეროვნულ საკუთრებად ჩაითვალოს,—ხოლო ყოფილ მეფის მამულები: ლივადია, მასანდრა, ორეანდა, აი-დანილ და ერეკლიკ საკურორტოდ იალტის ქალაქის გამგეობას გადაეცეს.

ფრონტის კომიტეტების დეკლარაცია.

მოსკოვი. აგვისტოს 16. ფრონტის კო-

მიტეტების უკანასკნელ ყრილობაზე შეამუშავეს დეკლარაცია სამხედრო მინისტრის წარსადგენად. სალაშქრო კომიტეტები მოუწოდებენ მთავრობას დაეყრდნოს რევოლუციურ დემოკრატიაზე და სასტიკი ზომები მიიღოს კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლების წინააღმდეგ. კრებამ მიიღო პროექტი სამხედრო მინისტრთან საბჭოების დაარსების შესახებ. ხსენებულ პროექტში უნდა შედიოდნენ უმაღლესი მთავარსარდალი და ჯარის კაცთა კომიტეტების წარმომადგენლები. დეპეშით კერენსკის მიესალმნენ და მისი პროექტი სამხედრო კომიტეტების დებულებისა გაიზიარეს. ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ ლაშქარი, კერენსკის წინამძღოლობით, შეერთდება და მტკიცედ დაიცავს რევოლუციას და თავისუფლებას.

ათ მილიონიანი სესხი ჩინელებისა.

პეკინი. აგვისტოს 17 ჩინეთმა ათ მილიონიან სესხზე ხელი მოაწერა. სესხს აძლევს იაპონია მომავალ 100 მილიონიან სესხში.

არჩევნების შედეგი სხვა და სხვა ქალაქების საბჭოებში.

პეტროგრადი. აგვისტოს 20. არხანგელსკის საქალაქო საბჭოში პირველი ადგილი უჭირავს სოციალისტურ ბლოკს, მეორე კადეტებს; ეკატერინოსლავისაში პირველი—ს.-რ., მეორე „ბოლშევიკების“; კიშინიოვისაში პირველი—რს. რ. და ს.-დ., სახალხო სოციალისტებს და ბუნდს, მეორე—ქრისტიანთა კავშირის; ქუთაისში პირველი —ს.-დ., მეორე ს.-რ; მოგილიევში პირველი—სოციალისტური ბლოკს, მეორე -კადეტებს; პერმში პირველი—ს.-რ., მეორე „მენშევიკებს“: რიგაში პირველი „ბოლშევიკებს“, მეორე- გერმანელთა სიას; სიმბირსკში პირველი—ს.-რ. ხალხის შრომის ჯგუფის ბლოკს, მეორე—ს.-დ.

სასტიკი ზომები ძალმომრე და მძარცველ ჯარის წინააღმდეგ

პეტროგრადი. აგვისტოს 19. სამხედრო სამინისტროს გამგემ სავინკოვმა ტელეგრამა გაუგზავნა კამენეცისა და უმიცკის მაზრების უფროსებს, რომ სასტიკი ზომები მიიღონ იმ ჯარების ნაწილების წინააღმდეგ, რომელნიც სცარცვავენ და ძალმომრეობენ გზაში.

დეზერტირთა სასამართლოების გაუქმება

პეტროვრადი. აგვისტოს 19. უნდა გაუქმდეს დეზერტირთათვის გახსნილი სასამართლოები ყველგან, სადაც კი დაარსდება ახალი სამხედრო-საქალაქო საკორპუსო სასამართლოები.

შრომის კომისარი თურქესტანში

კოკანდი. აგვისტოს 19. მოხდა კრება ბამბისა, ზეთისა და საპნის ქარხნების ხელოსნებისა და მუშების. გადასწყვიტეს სთხოვონ მთავრობას დანიშნოს შრომის კომისარი თურქესტანში და დააწესონ სახელმწიფო კონტროლი წარმოებაზე სპეკულიაციასთან საბრძოლველად.

რკინის გზის გაფიცვა

კავკავის რკინის გზის მუშათა პროტესტი გაფიცვნბზე.

დონის როსტოვი. აგვისტოს 19. კავკასიის რკინის გზის მუშათა კავშირის სარაიონო კომიტეტების ყრილობამ მოისმინა რა დეპეშა მემანქანეთა გამფიცველ კავშირისა დიდი პროტესტი განაცხადა ყოველივე გაფიცვებზე რომელთაც დიდ უკმაყოფილების გამოწვევა შეუძლიან. როსტოვის საორთქლმავლო ბრიგადის სექციამაც საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა.

მიმოსვლის შეწყვეტა ეკატირინეს რკინის გზაზე

ეკატირინოსლავი. აგვისტოს 18, გამფიცნელ კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა: შესწყდეს მოძრაობა აგვისტოს 20-ისთვის ეკატერინეს რკინის გზის ზოგ ზოგ უბნებში სამგზავრო მატარებლებისა და 22-ისთვის—საკრებულო, მსახურთა და სააგარაკო მატარებლებისა.

საორთქლმავალო ბრიგადების გაფიცვის გამო

პეტროგრადი. აგვისტოს 19. მუშათა და ჯარის კაცთა ცენტრალ კომიტეტის ბიუროს სხდომზე საორთლქმავალო ბრიგადების გაფიცვაზე ითათბირეს ბიურომ მიიღო რეზოლუცია: საჭიროა დაუყონებლივ მოემატოთ რკინის გზის მუშებს ჯამაგირი, საგანგებო კომისიის მოწყობა და საკითხის სწრაფად გადაწყვეტა.

უარი გაფიცვაზე.

ეკატერინოსლავი. აგვისტოს 19. მოხდა შეერთებული სხდომა ეკატერინეს რკინის გზის ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენელებისა. გადასწყვიტეს არ შესწყვიტონ მოძრაობა.

ლიბავა-რომენის რკინის გზის კომიტეტები გაფიცვს წინააღმდეგ.

მინსკი. აგვისტოს 20. ლიბავა-რომენის რკინის გზის კომიტეტები კატეგორიულ უარს აცხადებენ გაფიცვაზე.

სუხომლინოვის გასამართლება ბრუნდსტრემისა და სლაბოშევიჩის ჩვენებანი.

პეტროგრადი აგვისტოს 18. მოწმეები ყუმბარების დამამზადებელ „რუსის საზოგადოების“ და მალიშევის ქარხნების დირექტორები ირუნდსტრემი და სლაბოშევიჩი უჩვენებენ, რომ არტილერიის მთავარ-სამართველო უზრუნველად და გულგრილად ეპყრობოდა ჩვენს ყოველ წინადადებებს ომის დასაწყისში. გენერალ სმისლოვსკიმ გვითხრა კიდეც, რომ რუსის ჯარი არაფერს არ საჭიროებსო, ჩვენ ბრწყინვალედ გვაქვს საქმე დაყენებულიო. შემდეგ კი, როცა დააკლდათ, საარტილერიო გამგეობა იძულებული იყო შეეკვეთნა დაგვიანებით.

ბატოვის ჩვენება.

მოწმე ბატოვი, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მოხელე, აჩვენებს, რომ სუხომლინოვი ხელს უწყობდა ავსტრიისა და გერმანეთის ზოგიერთ ქვეშევრდომებს, რომ არ გაეძევებინათ ისინი კიევიდან. გოშკევიჩისა, დუმბაძისა, პოლკოვნიკ ივანოვისა და სხვათა საქმის შესახებ, რომელთაც ჰბრალდებოდათ ჯაშუშობა, სუხომლინოვმა, წინასწარ გამოძიების დროს, მისწერა წერილი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროს სავიჩს, რომელშიაც გამოსთქვამდა ეჭვს, რომ ეს პირნი დამნაშავენი ყოფილიყვნენ ამ საქმეში. სამხედრო საველე სასამართლომ მიუსაჯა მათ სიკვდილით დასჯა მაგრამ თან დაადგინა იშუამდგომლონ სასჯელის შემსუბუქებაზე. როდესაც წავიკითხე სასამართლოს დადგენილება, ძლიერ გამიკვირდა შუამდგომლობის მიზეზების წინააღმდეგობა და ამაზედ მოვახსენე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალს გენერალ ივანოვს. მან წინადადება მომცა, მოხსენება ბანაკში გამეგზავნა და თითონაც იქ გაგზავნა თავისი მოხსენება, რომ დამნაშავეთ შეიძლება უფრო შეუმსუბუქდეთ სასჯელიო. სასჯელი შეუმსუბუქეს.

სუხომლინოვის განმარტება

სუხომლინოვი ამბობს: მახსოვდა-რა, რომ კიევლიანებს მე ძალიან ვუყვარდი, მე ჩემ მოვალეობად ვსთვლიდი მეშველნა ყოველი კიევლიანისთვის, რომელნიც კი მომმართავდნენ ხოლმეო. რაც შეეხება გოშკევიჩისა და სხვათა საქმეს, სუხოლინოვი პროტესტს აცხადებს პროკურორის წინააღმდეგ, ვითომც, მე ძალმომრეობით გავლენას ვახდენდი იმ საქმეზეო. ხოლო, თუ წერილი მივწერე სავიჩს, ეს იმიტომ, რომ დამნაშავეთა შორის იყო გოშკევიჩი, რომელსაც მე თითონ მივეცი სია სამხედრო უწყების ღონისძიებათა ჩემი ბიოგრაფიისათვისაო. მე მას ჯაშუშად არა ვსთვლიდი და მეშინოდა, რომ სასამართლომ შეცდომით უსამართლოდ არ დასაჯოს. იმ დროს ყველას ჯაშუშები ელანდებოდა და შეეძლოთ.

შენაკვეთების საბუთების წაკითხვა.

კითხულობენ საბუთებს შენაკვეთების მიცემაზე. „პროდომეტს“ რომ სადისტანციო მილები შეუკვეთეს, ეს მოხდა სუხომლინოვის ბრძანებით, რომელმაც დაადგინა მისცემოდა ამ ქარხანას 55 პროცენტი ავანსად, დაახლოვებით სამ მილიონ მანეთამდე, ასე რომ, თვით სამხედრო კონტროლიორმა შენიშნა, უკანონოა ამოდენა ფულის მიცემაო. გაიმართა მიწერ-მოწერა დაბოლოს ყოფილმა მეფემ სუხომლინოვის მოხსენებაზე წააწერა: „საქმის შეფერხება შეუძლებელია, მიეცეს ავანსად“. ამით არ გათავდა სუხომლინოვის თანაგრძნობა ქარხნისადმი, 25 პროცენტის მაგივრად, მან ნება დართო ქარხანას შემოეტანა გირაოდ მხოლოდ 10 პროცენტი.

როძიანკოს ჩვენება.

როძიანკომ განაცხადა, სახელმწიფო სათათბირომ რეზოლუცია გამოიტანა სუხომლინოვის შესახებ, რომ მისი მოქმედება სამშობლოს საფრთხეს უმზადებს. ომის დაწყებისას ყველასთვის ვინც კი დაცვისთვის ზრუნავდა, ნათელი იყო, რომ ყუმბარები საკმაო არ გვქონდა 1914 წ. ენკენისთვის დამლევს ამის გამო კერძო სათათბირომ კერძო ბჭობაც იქონია. სწორედ ამ დროს როძიანკოსთან პეტროგრადში დაბრუნებისას რამდენჯერმე გვქონია ბასი, რომ ასე ომის გაგრძელება შეუძლებელია და საჭიროა შესაფერი ზომების მიღება. მოწმემ განაცხადა, რომ პირიან ფირმებს ყუმბარებს არ უკვეთდნენო. როძიანკომ განაცხადა, რომ მას არა ერთხელ ურჩევნია მისთვის თანამდებობიდან გადადგომა. როძიანკოს ჩვენების შემდეგ სუხომლინოვმა განაცხადა, რომ მას არა ერთხელ უთხოვნია თანამდებობიდან გადადგომა, მაგრამ თხოვნას არ იწყნარებდნენო.

ინგლისის და მოსკოვის თათბირი.

ლონდონი. აგვისტოს 16. „დეილი ტელეგრაფი“ რუსეთს იმ ბრმად შობილ კაცს ადარებს, რომელმაც მოულოდნელად აახილა თვალები და კარგად ვერ შეუფასებია ის რასაც ხედავს. გაზეთს სწამს, რომ მოსკოვის თათბირის მონაწილენი ღრმად შეიგნებენ იმ საფრთხეს, რომელიც ასე უქადის რუსეთს. „ტაიმს“-ი უკვე დამტკიცებულად აღიარებს, რომ კერენსკი კორნილოვისავით ლაშქარში დისციპლინის აღსადგენად მიისწრაფის.

„დეილი ხრონიკელ“-ი კერენსკის და კორნილოვს იმ ორ გიგანტად სთვლის რომლებზედაც რესპუბლიკა ემყარებაო.

„მანჩესტერ გვარდიელნ“-ი კორნილოვის მიერ დახატულ სურათს საშინლად სთვლის და იმედს გამოსთქვამს, რომ თათბირი ტხოვრების წესიერ მსვლელობას ხელს შეუწყობსო.

ოფიცრების აუტანელი მდგომარეობა ყაზანში.

ყაზანი აგვისტოს 18. მე-2 სათადარიგო არტილერიის ბრიგადის 1 დივიზიონის ოფიცერთა კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ოფიცრების აუტანელი მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. ვიღაც უპასუხისმგებლო პირნი აქეზებენ ჯარისკაცებს ოფიცრების წინააღმდეგ. ეს იყო მიზეზი, რომ 16 აგვისტოს, როდესაც გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა ყაზანში, ჯარისკაცნი ართმევდნენ ოფიცრებს იარაღს, მეორე დღეს ჯარისკაცებმა სიკვდილის პირამდე სცემეს პოლკოვნიკ ზელიხევს მთელი ოფიცრების თვალ წინ, რომელთაც არ შეეძლოთ დაეცვათ ამხანაგი უიარაღობის გამო. შეუძლებელია კვლავაც ავიტანოთ ასეთი მდგომარეობა. რადგანაც არსაიდან არა [illegible] დახმარებას, [illegible] ჩვენ მივმართავთ სრულიად ყაზანის გარნიზონის ოფიცრებს და ვსთხოვთ ოფიცრების წარმომადგენელთა საბჭოს მოიწვიოს სრულიად გარნიზონის კრება. გამოირკვა, რომ აგიტაციას ეწეოდა ორი პრაპორშიკი მას შემდეგ, რაც განახლებულ იქმნა სიკვდილით დასჯის კანონი, ამაში ხედავდნენ კონტრ-რევოლიუციის დასაწყისს.

უთანხმოება დროებით მთავრობის და მთავარ-სარდალ კორნილოვის შორის

პეტროგრადი. აგვისტოს 20. მინისტრთავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვმა გაზეთების რედაქტორებს განუცხადა, რომ დროებით მთავრობა სრულიად ენდობა მთავარ-სარდალს, რომ მომხდარი უთანხმოება მეორე ხარისხოვან საკითხებში უკვე მოისპო. მთავრობა ეთანხმება კორნილოვს, რომ საჭიროა ზომების მიღება ლაშქრის სამხედრო ძალის აღსადგენად. კორნილოვის გამოცვლის საკითხი დროებით მთავრობას არ აღუძრავს.

პეტროგრადი. აგვისტოს 19. მინისტრთავმჯდომარის მოადგილემ დაწვრილებით გააცნო გაზეთების რედაქტორებს ის დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა დროებით მთავრობასა და მთავარ-სარდალს შორის. დროებითი მთავრობა ღრმა პატივისცემით და სრულის პოლიტიკურის ნდობით ეპყრობა მთავარ-სარდალს. თუმცა მთავარ-სარდლის გარშემო სუფევს დიდი მითქმა-მოთქმა სხვა და სხვა წრეების ტენდენციური განზრახვებით, თვით მთავარ სარდალი სრულიად მშვიდად და გულგრილად უყურებს ყველა ამ აურ-ზაურს. დროებითი მთავრობა ღრმად დარწმუნებულია გენერალ კორნილოვის პოლიტიკურ ნეიტრალობაში და არც არავინ რაცხს მას მოპირდაპირედ მთავრობის უმაღლეს განსახიერებისა—დროებითი მთავრობის. ასეთივე მითქმა-მოთქმა და ბრძოლაა ყველა სამხედრო სამინისტროს გამგის სავინკოვის გარშემო, მაგრამ აქაც ულმობელ წინააღმდეგობას ნახავს ყველა დროებითი მთავრობისგან. ყველა ცდილობს გადიბირონ ჯარი მოწინააღმდეგე ბანაკში, მაგრამ დროებითი მთავრობა არ დაერიდება არავითარ სასტიკ ზომებს თავიდან ააცილოს ქვეყანას ვნება. ზოგიერთი ცნობილი წრეები, ეჭვი არ არის, იმედით უყურებენ მთავარ-სარდალს, მაგრამ თვით მთავარ-სარდალი კი სრულიად განზე სდგას მათგან და არც იცნობს მათ, რადგანაც

წყალტუბოს სამკურნალო აბანოები.

წერილი მეორე.

პირველი ნაწილი ჩემი მოხსენებისა შესახებ წყალტუბოს აბანოებისა, ესე იგი, მათ მნიშვნელობაზედ სხვადასხვა ავათმყოფობის განსაკურნავათ ყოველ კრებაზედ ერთ ხმათ იყო მიღებული, მაგრამ საშუალება აბანოების მოსაწყობად კი არავინ მოგვაწოდა და ეს ჩემთვის წინდაწინვე ცხადი იყო. ამის შემდეგ სამხედრო წოდების წარმომადგენელებს მივმართე, ვინაიდგან ვიცოდი, რომ ამ ჟამათ ეს აბანოები ფრიად საჭირო არიან ჩვენი დაავათმყოფებული ჯარისკაცთათვის, რომლებზედაც ზრუნვა უპირველეს მოვალეობას შეადგენს მათთვის.

ჩემს მოხსენებაში ქუთაისის მკურნალთა კრებაზედ შედგენილი ოქმი იყო მოყვანილი, რომელსაც აქ მოკლედ მოვიხსენიებ. ,,ჩვენ, ამ კრებაზედ დამსწრე ექიმები, ვამოწმებთ წყალტუბოს აბანოების სამკურნალო მნიშვნელობას და გამოგვაქვს შემდეგი რეზოლუცია: მხედველობაში მივიღეთ, რომ წყალტუბოს აბანოების სამკურნალო თვისებანი ძველადგანვე დიდათ სახელგანთქმულია, რაც მტკიცდება კიდეც ექიმთა პრაქტიკით და ამ აბანოების ქიმიურის ანალიზით; ამის გამო ქუთაისის მკურნალთა საზოგადოება ერთხმათ სცნობს, რომ წყალტუბოს მინერალურ აბანოებს აქვს სამკურნალო თვისებანი და არჩენს ავათმყოფებს სხვადასხვა ქარებისა, ნევრალოგიისა, ნევრესისა და იშიასაგან, აგრეთვე არჩენს დიდი ხნის ნაღრძობსა და მოტეხილს, ქრონიკულ ტკივილებს ქალთა სქესობრივ ორგანოებისას, ბუშტისა და ჰაჭებისა, სატკბურსა და სატკბურის მუწუკებსა და ზოგიერთ შემთხვევაში ტყავზედ დაყრილს მუწუკებს. ამის გამო საზოგადოება აგზავნის მედიცინის დოქტორს ნაზაროვს, დაესწროს ბალნეოლოგების კრებას, რომელიც მიწვეულია პეტროგრადს 7 იანვრისთვის 1915 წელს და ანდობს მას მიართვას ამ კრებას მოხსენება წყალტუბოს აბანოებზე და ამით მიაქციოს კრების ყურადღება ამ აბანოებს, რომ მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობა დაგვიდასტუროს''.

ამ ექიმთა დადგენილების ძალით და მოხსენებაში მოყვანილ ანალიზებით ბალნეოლოგიური კრება პეტროგრადში დარწმუნდა წყალტუბოს აბანოების დიდ მნიშვნელობაზე საზოგადოებისთვის და გამოიტანა თავისი რეზოლუცია, რომელიც პირველ წერილში იყო მოყვანილი. კომისიებიც, რომელზედაც მქონდა მსჯელობა იქვე, ამ დადგენილების გამო იყო გამოწვეული, მაგრამ არც ამან უშველა წყალტუბოს აბანოების მოწესრიგებას და ისინი დღესაც ისე უყურადღებოთ და უგზო-უკვლოთ არიან, როგორც წინეთ იყვნენ. ამის დასამტკიცებლათ ისიც კმარა, რომ მთელი კავკასიის გუბერნატორებმა ნამესტნიკის თავმჯდომარეობით შარშან, როდესაც მსჯელობა გზების გაყვანაზედ იქონიეს, წყალტუბოს გზა მესამე ხარისხის გზათ იცნეს, ესე იგი, იმისთანა გზათ, რომელიც მათ ხელში არაოდეს არ მოესწრებოდა გაკეთებას. ის ორმოცი ათასი ავათმყოფი, რომელიც ყოველ წლობით განსაკურნებლად მიდის იქ, სახეში არ მიიღეს და ჩვენი ზურგიდან აღებული ფული ჩვენი უპირველესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაიშურეს. ამ რიგად ჩვენი, მათხელში უპედური, ქვეყანა, მოკლებული აქამდის ერობას და ყოველ საზოგადოებრივ დაწესებულებას, რომლისთვის შეგვეძლო ზრუნველობა ჩვენს ავათმყოფებზედ დაგვევალებია, დარჩა სრულიად უყურადღებოთ ჩვენი პატრონებისაგან.

ამ რვა ვერსის გავლა ქუთაისსა და წყალტუბოს შორის დაახლ. 8 ვერსია უფრო ძნელია, ვინემ თბილისიდგან ქუთაისში ფეხით ჩამოსვლა. ამ უგზოობის შემდეგი ის არის, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი სამკურნალო აბანოები, როგორც ზემო მოყვანილი ექიმების დადგენილებიდან სჩანს, მხოლოდ ახლო მცხოვრებლების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ისიც დიდი გაჭირვებით. ამან აიძულა 9-ს მაისს ამა წლისა თბილისის სავარაკო კრებაზედ წამეკითხა ახალი მოხსენება ქალაქის საბჭოს მონდობილებით. იმედი მქონდა, რომ ახალი წესწყობილების მეთაურნი ყურადღებას მიაქცევდნენ და წყალტუბოს აბანოების გაუმჯობესობას შეუდგებოდნენ, მაგრამ ამითაც არა გარიგდა ჯერ, თუმცა კრებაზედ ჩვენი მოკეთენი იყვნენ არჩეული კომისიის წევრებათ: ბ. ბ. ექიმები ვირსალაძე და ელაშვილი, რომელთაც კრებამ დაავალა ამ აბანოებზედ ზრუნვა და საჩქაროთ მოხსენების მირთმევა კავკასიის დროებითი მთავრობისათვის, ვინაიდგან ჩემი მოხსენება ერთხმათ იყო კრებაზედ მიღებული. ამ უკანასკნელ მოხსენების დედა აზრი მინდა მოკლეთ გავაცნო მკითხველს, რადგან მე იმით ენერგიულად მოვითხოვდი წყალტუბოს აბანოების დაუყოვნებლივ მოწყობას.

პეტროგრადის კრებამ, მე ვთქვი; დანიშნულმა გამოსაკვლევათ, თუ რა გზით შესაძლოა გავაუმჯობესოთ მთელს რუსეთში სამკურნალო ადგილების მოწყობა, 1915 წ-ში, ცხადათ დაამტკიცა, რომ ჩვენი მამული განსაკუთრებით მდიდარია მრავალის სხვადასხვა გვარის აბანოებით, რომელთა მსგავსი მთელს დასავლეთ ევროპაშიაც არ მოიპოვება.

ყველა კურორტთაგან, მაინც ცნობილია და რომელთა რიცხვი 2345-დის იქნება, რუსეთს ეკუთვნის 680 (ციმბირს გარდა, სადაც 135 არის). ამასთანავე არსად ისე ცოტად არ სარგებლობენ საკუთარის სამკურნალო ადგილებითა და აბანოებით, როგორც რუსეთში. სტატისტიკურის ცნობებით ჩვენს კურორტებზე ანუ სამკურნალო ადგილებზე, მიდის საზოგადოდ 400.000 ავადმყოფზე არა უმეტესი, მაშინ როდესაც გერმანიაში სულ იქნება 517 კურორტი და იქ ყოველ წლობით მილიონზე მეტი ავადმყოფი ხალხი მიდის, რომელის თითქმის ნახევარი ჩვენი თანამემამულეთაგან შესდგება. მე არ შეუდგები იმ მიზეზების ჩამოთვლას, თუ რუსეთის საზოგადოება ასე რად ეტანება საზღვარ გარეთულ კურორტებს და ჩვენსას კი ღირსეულ ყურადღებას არ აქცევს, მაშინ როდესაც ზოგი ჩვენი მამულის კურორტი საზღვარ გარეთულს თავის მოწყობილობითაც ტოლს არ დაუგდებს, მართალია კი, ამ ჟამად რუსეთში ძლიერ ცოტა მოიპოვება იმისთანა აბანოები, რომელიც თავის მოწყობილობით შეესაბამებოდეს ახლანდელ მოთხოვნილებათა, მაგრამ ზოგიერთი უძველესი მათგანი, მაგალითად კავკასიის მინერალური წყლები, რომელიც მთავრობის ხელშია, რომელიც ამ წყალთა მოწყობილობის გაუმჯობესობისათვის არა მცირე ფულს ხარჯავს და ამით ძალიან დიდს საღავათს აძლევს ყველა იქ მისულ ავათმყოფს; მაგრამ შეძლებული ხალხი საზღვარ გარეთელს კურორტებს უპირატესად სთვლის და იქ მიემგზავრება. აქიდგან ცხადად სჩანს, კარგი მინერალური წყაროები საკმაო არ ყოფილა, საჭიროა ამ წყაროებზე ყოველიფერი ისე იყოს მოწყობილი, როგორც ჩვენი დრო მოითხოვს, რომ ავადმყოფებს აქ კარგათ ეცხოვრებოდეს.

თანამედროვე სამკურნალო მეცნიერება ზედ უფრო მომეტებია და გაბედულობით მოითხოვს და უპირველეს საშუალებად სთვლის მრავალს სხვა და სხვა გვარს ფიზიკურ ექიმობას და უმთავრესად ექიმობას ბუნების ძალებით. ამ გვარი ექიმობა მოხერხდება მხოლოდ იმისთანა ადგილს, სადაც სამკურნალოები კარგად მოწყობილია, სადაც ყოველივე ცხოვრებისათვის გამოსადეგი საშუალება მოიპოვება და ამასთანავე საუკეთესო ჰაერიც არის, რომ ავადმყოფს ადვილათ შეეძლოს ექიმობა მთელი წლის განმავლობაში და არა მარტო ზაფხულის თვეებში. ამისთანა წყაროები რუსეთში მხოლოდ კავკასიაში გვეგულება და ამ ჟამად, როდესაც ჩვეულებრივ ავადმყოფებს გარდა, თანამედროვე უდიდესმა ომმა სახელმწიფოს გარდაუსწყვეტად პირდაპირი საკითხი დაუდგინა, რომ დაუყოვნებლად შეწევნა აღმოუჩინოს მეომარ ჯარისკაცთ და შეუმსუბუქოს მათ ტანჯვა, რომელსაც ისინი სატკივრისა და სნეულებისაგან განიცდიან, და ამასთანავე შეეცადოს, რომ საზღვარგარეთელ კურორტებისაკენ ჩვენი ავადმყოფების გამგზავრება თან და თან კლე-

ის პირის, რომელნიც თავში უდგანან დაცვის საქმეს. მოწოდებულნი არიან იდგნენ პოლიტიკის გარეშე. უთანხმოებანი დროებითი მთავრობისა კორნილოვთან ეხებოდა მხოლოდ დისციპლინას და არა სამოქმედო პროგრამას. ამ ჟამად ყოველა უთანხმოება აშორებულია და ნაწილი მთავარ-სარდლის საპროგრამო პირებისა უკვე შესრულებულია. მზადდება შესასრულებლად მთავარ-სარდლის დანარჩენი მოთხოვნანიც.

პეტროგრადი ავგისტოს 19. გენერალ კორნილოვის საფრონტო პროგრამაში შედის საკითხი რკინის გზების ტრანსპორტზე და მრეწველობის შესახებ. შრომის გამოსავლების გადიდებაზე და ტრანსპორტისა. ცხარე მუშაობა სწარმოებს გზათა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებში. უთანხმოება, ისიც წმინდა სამხედრო ნაწილში, სრულიად უმნიშვნელოა. კომისარებისა და ჯარის კომიტეტების დახურვაზე საქმე არ აღძრულა. ჯარის ბედი დიდს ყურადღებას იპყრობს დროებითი მთავრობისას და ამიტომ მინისტრ-თავმჯდომარის განკარგულებით ამ დღეებში მოხდება თათბირი სავინკოვსა და კორნილოვს შორის მოხსენების დასამზადებლად დროებით მთავრობაში წარსადგენად. მთავრობა სავსებით იზიარებს კორნილოვის აზრს, რომ შეუძლებელია ვუცადოთ იმ დრომდის, სანამ მოხდებოდეს ახალი რყევანი, საჭიროა ახლავე მივიღოთ ზომები ჯარის საომარი უნარის აღდგენისთვის დროებითი. მთავრობა კატეგორიულად უარს ჰყოფს იმ ამბავს, ვითომც, აზრად გვქონდეს მთავარ სარდლის გამოცვლა. თუმცა იყო ცნობები ამის შესახებ გაზეთებში და დადგენილებანიც, რომლებიც მოგვთხოვდენ კორნილოვის გადაყენებას, თვით მთავრობაში არასოდეს არა აძრულა ეს საკითხი. რაც შეეხება ზოგიერთ კონტრ-რევოლიუციონერთა დაპატიმრებას, ამას არავითარი კავშირი არა აქვს კორნილოვთან. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს სასურსათო საკითხში, რადგანაც ეს საქმე მართლაც დიდს საფრთხეშია ტრანსპორტის საქმის აწეწვის გამო. მიღებულია აგრეთვე ზომები პეტროგრადის დაცლაზე: რადგანაც ეს საქმე დღეს უმთავრესია.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

დასავლეთის ფრონტი.

პეტროგრადი. ავგისტოს 19. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ვილენის მიმართულებით სმორგონ კრევოს უბანში ცხარე სროლაა.

რიგა. ავგისტოს 18. რაც ჩვენ სტრატეგიულ მოსაზრებით კომერნის მიმართულებით დავიხიეთ გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენ ასპარეზებს. ფრანკენდორფთან საარტილერიო სროლას არა სწყვეტენ და ხან ჩვენ ძალების შესატყობად მზვერავ რაზმებსაც გზავნიან. მიტავის მიმართულებით მტერი დრო-გამოშვებით ძლიერ არტილერიას ამოქმედებს. ჩვენი მზვერავები დიდ სიფხიზლეს იჩენენ და მტრის მზვერავებსაც იგერიებენ.

პეტროგრადი. ავგისტოს 20 ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. გუშინ გერმანელები ისკულიას რაიონში, რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. დვინზე გადმოვიდენ და კუპფერგრამერი დაიჭირეს. ჩვენ კონტრ-იერიშებმა გამარჯვება ვერ მოგვიპოვეს. დღეს მიტავის გზა-ტკეცილის რაიონში მტერმა შემოტევა დაიწყო. ბრძოლა გრძელდება. კოველის მიმართულებით ველიცკ-კუხარის რაიონში გუშინ წინ ღამ მტერმა მახრჩობელ გაზების ტალღა გამოუშვა და შემდეგ მცირე ძალით შემოტევა დაიწყო. ქვეითა ჯარს იერიში მოაქვს. ვლადიმერ ვოლინის მიმართულებით მტერმა ქიმიურ ყუმბარებით აუტეხა სროლა ჩვენ ასპარეზებს და შემდეგ ზუბილნოს რაიონში შემოტევა დაიწყო, ამასთან სოფლის სამხრეთ უბანში ჩვენი თხრილები დაიჭირა, მაგრამ კონტრ-იერიშებით მალე დავაცლევინეთ.

საფრანგეთის ფრონტი.

პარიზი. ავგისტოს 18 საღამოს ოფიციალი. ქვეითა ჯარს არ უმოქმედნია. სერნის რაიონში, მაასის მარჯვენა მხარეზე, ,,304'' სიმაღლესთან საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი. ავგისტოს 18. დღის ოფიციალი სერნის აღმოსავლეთით გერმანელ მზვერავთა რაზმი მოვიგერიეთ. მაასის ორსავ მხარეზე საარტილერიო მოქმედებაა. გერმანელები გარტმანსვეილერ-კეფზე თავდასხმას შეეცადნენ მაგრამ ამაოდ.

ახლო აღმოსავლეთი. გუშინ სერკა-დი-ლეგენის მთაზე და მის დასავლეთით გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. ბოლგარელებმა საარტილერიო სამზადისის შემდეგ ორი ენერგიული იერიში მოიტანეს, ღამე ჩვენი მოწინავე თხრილებიც დაიჭირეს, მაგრამ გათენებისას კონტრიერიშებით ისევ გავდევნეთ დაჭერილ ალაგებიდან. სერკა-დი-ლეგენის დასავლეთ რაიონში სერბეთის ჯარმა ბოლგარელების მოწინავე თხრილები დაიჭირეს და 20 ტყვეც წამოიყვანეს. მონასტრის და დოირანეს ტბის რაიონებში საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი. ავგისტოს 19. ოფიციალი. ბელგეთში დრიგრახტენის და დიკსხოოტეს რაიონში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. მდ. ენის ფრონტზე იურტებიზის ჩრდილო-დასავლეთით ფრონტის 1500 მეტრის სიგრძეზე და 300 მეტრის სიგანეზე მივიტანეთ იერიშები. მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. წამოვიყვანეთ 150 ტყვე, მათში 5 ოფიცერია. ავგისტოს 18 ს საღამოთი კორბენის სამხრეთით ჩვენები გერმანელების სანგრებში შეიჭრნენ და 12 ტყვე წამოიყვანეს.

რუმინეთის ფრონტი.

პეტროგრადი. ავგისტოს 19. ფოქშანის მიმართულებით გუშინ 18 საათზე მტერმა, მცირე ძალით, იერიში მოიტანა ირეშტის ჩრდილო დასავლეთით, მაგრამ რუმინელებმა მოიგერიეს.

პეტროგრადი. ავგისტოს 20. ფიქშანის მიმართულებით ავგისტოს 18-ს ღამე ირემტის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერს იერიშები მოჰქონდა მაგრამ მოვიგერიეთ, ამასთან ტყვეებიც ვიგდეთ ხელში. გრაილოვის მიმართულებით ბუზეუს შესართავის ჩრდილო-დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

პეტროგრადი. ავგისტოს 14 წუხელ მუნტვლუს დასავლეთით მდ. სუშიცის რაიონში გერმანელების სამი იერიში მოვიგერიეთ. უკანასკნელ იერიშს რუმინელები ისეთის სიფიცხით ეკვეთნენ რომ გერმანელებმა იარაღი და სამხედრო მასალა დაყარეს და ისე გაიქცნენ, ხელთ ვიგდეთ 540 თოფი, 300 ხიშტი, მრავალი ლენტი სატყვიისმფრქვევლო და ყუთები. ავგისტოს 19-ს კოკისპირულად წვიმდა. დროებით ბრძოლა შესწყდა. მთელ ფრონტზე მზვერავთა შეტაკება და საარტილერიო ბრძოლაა. მოსალოდნელია მტრის ახალი შემოტევა.

კავკასიის ფრონტი.

პეტროგრადი. ავგისტოს 19. არა მომხდარა რა არსებითი.

პეტროგრადი ავგისტოს 20. მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება.

პეტროგრადი. ავგისტოს 19. ავგისტოს 16 როტმისტრ კაზაკოვმა მტრის მე-16 ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ჰაეროპლანი პროსკუროვის რაიონში ჩამოვარდა. ზედ მყოფნი გერმანელები დაიხოცნენ.

პეტროგრადი. ავგისტოს 20. დვინსკის რაიონში პრაპორჩიკმა ეფიმოვმა გერმანელთა ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ბროდის რაიონში პორუჩიკ ჩუდნოვსკის საჰაერო ბრძოლა ჰქონდა მტერთან. ორივე ჰაეროპლანი მტრის რაიონში ჩავარდა.

შავი ზღვის ფლოტის უფროსის განცხარება

ადესა. ავგისტოს 19. შავი ზღვის ფლოტის უფროსმა კონტრ ამირბარ ნემეცმა იასაში რუმინეთის მეფესთან თათბირი იქონია. ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ არა მგონია თუ მტერი ფრონტის გარღვევას შესძლებსო. დაღუპულ ჯავშნოსან „მარია“-ს ამოღება შეიძლება, მაგრამ ტეხნიკური იარაღები სხვა უფრო საჭირო საქმეებზე გასცდებიან. „გებენი“ და „ბრესლაუ“ მზად არიან, მაგრამ ჰგრძობენ რა ძალების უპირატესობას ჯერ არ ჩნდებიანო.

ექიმების სამხედრო ბეგარა.

პეტროგრადი. ავგისტოს 19. მთავარ შტაბმა დაადგინა, რომ ის ექიმები, რომელნიც მოვალენი არიან გამოცხადნენ სამხედრო ბეგრის შესრულებაზე, სალექციო გამოცდის უმალ, დაუყოვნებლივ უნდა მიღებულ იქმნენ სამხედრო იმ სამსახურნი ქალაქების სამხედრო საკრებულოებისკენ, სადაც მათ სწავლა გაათავეს.

გაფიცვა კანადაში.

ნიუ იორკი. ავგისტოს 18. საერთო გაფიცვა პროტესტის გამოსაცხადებლად სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ კანადაში მარცხით გათავდა.

ბრძოლა გერმანელთა და ინგლისელთა ესკადრებს შორის

კოპენჰაგენი. ავგისტოს 19. იუტლანდიიდან (დანიიდან) იტყობინებიან, რომ გაირიყა გერმანელთა ერთი ტრალერი რომელიც შემდეგ აფეთქდა. გუშინ იუტლანდიის ნაპირებთან შეამჩნიეს ცალკე ესკადრები გერმანელებისა და ინგლისელებისა. ნახეს გერმანელი მფრინავის დაღუპვა, რომელიც ცდილობდა თავსდასხმოდა ინგლისელთა გემს რიკენბინგენში. გერმანელთა ნაღმოსნების ერთი რაზმი, მიუხლოვდა-რა ბრძოლის ადგილს გაგზავნა კიდისკენ ნავი და მოითხოვა ასი გერმანელი მეზღვაურის გაცემა, რომლებმაც თავი შეაფარეს იუტლანდიას, მაგრამ დანეთის მთავრობამ უარი შეუთვალა მათ. ფიქრობენ, რომ გერმანეთის ტრალერებს-რომლებიც აქ ნაღმს იჭერდნენ, გარს შემოერტყნენ ინგლისელები და მოსპესო.

უკანასკნელი დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი.

გერმანელებმა მდ. დვინა გადმოლახეს.

პეტროგრადი. ავგისტოს 20. ძლიერ საარტილერიო მზადების შემდეგ გერმანელებმა გადმოლახეს მდ. დვინა და იქსკიულის მიდამოში დასავლეთ-აღმოსავლეთით შემოტევას ანვითარებდენ. მათ რიგის მახლობლათ დაიპყრეს კუპფერმერი. ჩვენი ლაშქრის მიერ წარმოებულმა კონტრ-იერიშებმა უნაყოფოთ ჩაიარა. მოპირდაპირემ აგრეთვე შემოტევა დაიწყო მიტავის მიმართულებით. მძაფრი ომი სწარმოებს კოველის მიმართულებით ველიც-კუხართან. გერმანელებმა მოშხამული გაზი გამოუშვეს ჩვენს წინააღმდეგ. ვლადიმერ-ვოლინის ხაზზე მტერმა ჩვენს სიმაგრეებს ყუმბარები დაუშინა და ზუბიგნის მიდამოში მტერი ჩვენს თხრილებში შემოიჭრა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუვაგდეთ.

რუსის ჯარმა რიგის რაიონი დასტოვა.

პეტროგრადი. ავგისტოს 21. რიგის მიმართულებით მდ. დვინის მარცხენა ნაპირზე, რიგის დასავლეთით ჩვენი ჯარი 20 ავგისტოს დილით ბილდერლინსგოფ-მედემ-დალენის ხაზზე გადმოვიდა. იკსკულინის მიმართულებით დვინის ჩრდილოეთის ნაპირზე 19—20 ავგისტოს განმავლობაში გერმანელები მედგარ შემოტევებს აწარმოებდენ განსაკუთრებით შტალ-მემუგერ-სარიპტა-ლაუსინ მდ. სგერის შესართავის ხაზით ავგისტოს 20-ს საღამოთი მათ ჩვენი პოზიციის გარღვევა მოახერხეს მდ. ეგელთან, მელმუგერსკრიპტის რაიონში. ჩვენი ჯარის ზოგი ნაწილი ბრძანების მიუღებლად სტოვებდა პოზიციებს და სამხრეთისაკენ იხევდა. ცდამ კონტრიერიშით მდგომარეობის გამოსწორებისა უნაყოფოთ ჩაიარა. საშიშარ მდგომარეობის გამო რიგის რაიონში გაცემულია ბრძანება, ხსენებულ რაიონის დატოვების შესახებ. დანარჩენ ფრონტზე სროლაა, უფრო ენერგიული კი ვილნოს მიმართულებით.

საფრანგეთის ასპარეზი.

ლონდონი. ავგისტოს 20. გუშინ საღამოს მტერმა წინ წაწეულ პოზიციებზე გავრინკური სამხრეთ-დასავლეთით, სადაც გასულ ღამის განმავლობაში შედეგს ვერ მიაღწია, ენერგიული იერიში მოიტანა სახელდახელო ყუმბარების შეწევნით. ჩვენმა ჯარებმა ჯერ იძულებით უკან დაიხიეს, შემდეგ კი ისევ დაიპყრეს პოსტები მცირედის დანაკლისით. მტრის არტილერია დღისით მოქმედებდა იპრის აღმოსავლეთით.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ავგისტოს 20. ფოქშანის მიმართულებით 19-ს მტერი ჩვენს სიმაგრეებს ეკვეთა, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ და თან ტყვეები წამოვიყვანეთ. ბარელოვის მახლობლათ მდ. ბუზეოს სათავესთან მოპირდაპირე განვდევნეთ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სწავლის ფულის მომატება. კლასიკურ გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ თავის კრებაზე დაადგინა, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ფული 120 მან. იქნეს.

✦ **საზარელი ამბავი.** ორშაბათს, საღამოს, საათის 8-ზე რესტორან დათვიდან გამოდიოდა ახალგაზდა ოფიცერი კობახია. კობახიას წინ შეხვედრია ჯ. კ. იობიძე, რომელთანაც წინათ პირადი უსიამოვნება ჰქონია, ოფიცერს და ჯარის კაცს ლაპარაკი მოუვიდათ, ოფიცერმა რევოლვერი დაახალა მიწაზე. ამ დროს ჯარისკაცმა ყვირილი მორთო „მომკლესო“. სხვა ჯარისკაცები მოგროვდენ და ოფიცერი დააკავეს. ქუჩებში ხმა გავარდა, რომ ჯარის კაცებს ხოცავენო, რის გამო სასწრაფოთ ქუჩათ გამოვიდა ჯარი და ქალაქი შიშმა მოიცვა. რამდენჯერმე გაისროლეს თოფი. ბევრს, გზაშ მიმავალ ქალს გული შეუწუხდა და დაეცა. ჯარისკაცების ერთმა ნაწილმა ოფიც. კობახიას ცემა დაუწყო, მათი შეჩერება ყოვლად შეუძლებელი გახდა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან მისვლამდე ოფიცერი სასიკვდილოთ გალახეს. მღელვარე ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა გუბერნიის კომისარმა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ, რის შემდგომაც ისინი დაწყნარდენ. ოფიცერი ინახულა გრ. გიორგაძემ და სთქვა ისეა ნაცემი, რომ მისი მორჩენა დიდათ საეჭვო არისო.

✦ **ბრუსილოვსკის შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო კომისარიატის წევრები **იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე** ქუთ. გუბ. ალმ. კომიტეტს აუწყებენ, რომ ქუთ. გუბ. პირველ რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბრუსილოვსკი გადაყენებულია თანამდებობიდან. მიუხედავათ ამისა, ბრუსილოვსკი არ აღიარებს კომისარიატის განკარგულებას, როდესაც მასთან მიდიან იგი სახლში არ ხვდება. ამიტომ კომისარიატი აცხადებს, რომ ბრუსილოვსკის დასავლეთ საქართველოს სასწავლებელში ადგილი არ ექნება (სკოლის ნაციონალიზაციის გამო), და იგი ვალდებულია ახლავე დასტოვოს დასავლეთ საქართველოს საზღვრები და ადგილი მოსძებნოს რუსულ სკოლაში. ბრუსილოვსკის მოვალეობას დრ. შეასრულებს ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების ერთ-ერთი ინსპექტორთაგანი.

✦ **ილია ქუთათელაძის შესახებ.** საგუბერნ. ალმ. კომიტეტის სხდომაზე ბ-ნ გრიგოლ ურატაძემ სხდომას აუწყა სოფ. დიდ-ჯიხაიში მომხდარი საზარელი ამბავი: ადგილობრივ ალმ. კომიტეტის თავმჯდომარის და მასწავლებლის ილია ქუთათელაძის ვერაგულათ მოკვლა. გრ. ურატაძის წინადადებით საგუბ. ალმ. კომიტეტი მწუხარებას და სამძიმარს გამოუცხადებს ტრაღიკულათ გარდაცვალებულის ოჯახს და სთხოვს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ თავს იდვას ილია ქუთათელაძის ცოლშვილის ნივთიერათ უზრუნველყოფა და ობოლ ბავშვების აღზრდა.

✦ **რკინის გზებზე ცარცვა-გლეჯის გამო.** ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მეტად გახშირდა ძარცვა-გლეჯა. ადგილობრივი დამცველთა რაზმი ვერას აწყობს. მძარცველები არ სჯერდებიან მგზავრების გაყვლეფას და რკინის გზის მახლობელ სოფლებსაც აწიოკებენ. ამის გამო ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა კავკასიის ლაშქრის შტაბის უფროს სთხოვა, რომ მიიღოს სათანადო ზომა მძარცველთა წინააღმდეგ.

✦ **ლექციები**. ქუთაისში ჩამოვიდენ ცნობილ სოც.-დემოკრატები და ამ დღეებში რამდენიმე ლექციას წაიკითხავენ. ხუთშაბათს ავგისტოს 24-ს ,,რადიუმში'' ლექციას წაიკითხავს აბრამოვიჩი თანამედროვე კითხვებზე.

✦ კომისარის დაბრუნება. გუბერნიის კომისარი ბ-ნი გრ. გიორგაძე ორშაბათს საღამოს ლეჩხუმის მაზრიდან დაბრუნდა.

თბილისი

ღვინის სარდაფი სასახლეში. მეფის ნაცვლად ნამყოფს დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს რომანოვს ძვირფასი ღვინოები დაუტოვებია სასახლის სარდაფში, ზოგი ღვინოები 100—150 წლის იქნება. მაგალითად, არის ღვინო 1714 წელს შენახული. კოლექციაში მოიპოვება ძველი ბადაგი, ხერესი, პორტვეინი, ბურგუნდიის და ვენგრიის ძველი ღვინოები, სხ. როგორც ხმა დადის, სარდაფში ვიღაცაები შეპარულან სავენტილიაციო ნახვრეტიდან და კარგა ბლომა ღვინო დაულევიათ, მაგრამ რამდენია შესმული ან გატანილი, ძნელია ამის გამორკვევა. სალდათთა დეპუტატების საბჭომ მიიწვია ამ ღვინოების შესაფასებლად და ცნობაში მოსაყვანად სპეციალისტები კ. მოდებაძე და კ. გაბიჩვაძე, რომელთა აზრით ამ ღვინოების ფასი 350—400 ათას მანეთამდე მიაღწევს. აზრი ტრიალებს, რომ ეს ძვირფასი კოლექცია მომავალ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს უნდა შესწირონ.

— **თბილისის პოლიტეხნიკუმში**(სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტის პირველ კურსზე) შესვლის მსურველთა რიცხვი 400 კაცს აღემატება. მთხოვნელთა შორის კონკურსი აუცილებელია. კონკურსზე უპირატესობა მიეცემათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშუალო სასწავლებელში კურსდამთავრებულებს.

— **კიტა აბაშიძის ავათმყოფობა**. ბიულეტენი 19 ავგისტოს კიტა აბაშიძეს ხერხემლის ტვინის ანთების გამო 1 ავგისტოს მოუვიდა ორივე ფეხის სიდამბლე. პროცესი ძლიერდება. ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულია ექიმობენ: გ. მაღალაშვილი. ს. ვირსალაძე, ტ. ქიქოძე, მიხ. გედევანიშვილი, გ. ფონდოევი, შ. მიქელაძე და ალ. დიასამიძე.

✦ **ახალი გიმნაზია.** საბურთალოზე იხსნება კერძო ქართული გიმნაზია ორივე სქესის ახალგაზდებისათვის, ამ გიმნაზიაში სწავლა დაიწყება ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში.

ბოლომდეს და მოისპოს კიდეც. ჩვენი მთავრობა ვალდებულია ამ საგანს სერიოზული ყურადღება მიაქციოს და კარგად დაუფიქრდეს. თუ ვინიცობაა ეს ამ ჟამადვე მოუხერხებელი შეიქნა მაშინ უეჭველად საზღვრების გახსნისათანავე ჩვენი ავადმყოფები დიდის სისწრაფით მიაშურებენ იქაურ კურორტებს, რასაკვირველია იმის გამო, რომ განკურნება კარგად მოწყობილ აბანოებზე მათვის აუცილებელი საჭიროებაა და თუ ომის დაწყების წინ ისინი იქ სტოვებდენ ყოველ წლობით ორას მილიონ მანეთზე, მერე ხუთჯერ მეტსაც დასტოვებენ.

პირდაპირი და გადაუდებელი ჩვენი ვალი რუსეთის საზოგადოების წინაშე და განსაკუთრებით ყველა მათ წინაშე, ვინც ახლანდელს უდიდეს ომიანობაში მონაწილე არის, ის უნდა იყოს, რომ საგანგებოთ ვზრუნავდეთ მათის ჯანმთელობისა და სამუშაო ღონიერების აღდგენისათვის. გოსპიტლებსა და ლაზარეთებში ექიმობას შეუძლია მხოლოდ დროებით შეამციროს მათი ტანჯვა, ვისაც სხვადასხვა ჭრილობა მიუღია, ვინც გაციებით და გადამღლები სენით ავად გამხდარა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება შემდეგის ხანგრძლივ ექიმობისა, რომელიც საჭიროა სრულის ჯანმრთელობის აღდგენისათვის. როგორც ვიცით, ჩვენი სახელმწიფოს საავადმყოფოები და სანატორიები ჩვეულებრივ ვერ იტევდენ ყოველწლიურ სტუმრებს და ახლა კი უსათუოდ სრულიადაც აღარ შეეძლებათ დაკმაყოფილება იქ მისვლელ ავათმყოფების თითქმის მეათედი ნაწილისაც კი, თუმცა ზოგიერთი ამ დაწესებულებათაგანი ბოლოს დროს გააფართოვეს და ექიმობის სეზონებიც გაახანგრძლივეს. ეს იმას ნიშნის, რომ ამჟამად აუცილებლად საჭიროა, რომ როგორც მთავრობამ, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომელნიც ომიანობაში დასნეულებულთათვის მზრუნველობენ, დაუყოვნებლად უნდა დაიწყონ, რაც ახლა მოწყობილი სამკურნალო ადგილები არსებობს, ამათი გაფართოება და **ახლების დაუყონებლადვე რიგიანად მოწყობა**, რომელთაც შეეძლოსთ დააკმაყოფილონ ზემოხსენებულ ავადმყოფთა და დაჭრილთა მოთხოვნილება.

ყოველივე დაყოვნება ამ წმინდა საქმისა, რომლის ასრულებაც სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს, დანაშაულობის თანასწორად ჩაითვლება მათ წინაშე, ვისაც მინდობილი აქვს მტერთაგან ჩვენის მამულის დაცვა.

ერთი სიტყვით. დაყოვნება არ შეიძლება, სამკურნალო ადგილები მოგვინახავს, ესენი უსათუოდ დააკმაყოფილებენ დიდს უმეტესობას იმ ავადმყოფთაგან, ვისაც ბუნების ძალთა შემწეობით ექიმობა ესაჭიროება, ვისაც „ვანნები“ და მინერალური აბანოები უნდა. აუცილებლად საჭიროა მხოლოდ შევქმნათ იმისთანა ადგილებზე პირობანი, რომელთაც მცირეოდნის მასშტაბით მაინც შეეძლოსთ დააკმაყოფილონ იმ ჩვენი ჯარის კაცების მოთხოვნილება, რომელნიც ახლანდელის მძიმე ომიანობის მსხვერპლად გამხდარან.

ჩვენს სახელმწიფოში არსებულს სხვა საექიმო ადგილთა შორის, რომელთა რიცხვი მრავალი არ არის, **წყალტუბოს აბანოები თვით ბუნებას დაუნიშნავს სამკურნალოდ და მთელს კავკასიის მხარეში მათი ბადალი არ უნდა იყოს**, რაც მე ავღნიშნე ჩემს მოხსენებაში სამკურნალო ადგილების წარმომადგენელთა კრებაზე პეტროგრადში, და ქალაქის მოლვაწეთა კრებაზე თფილისში 1915 წელს.

ექიმი დ. ნაზაროვი.

✦ **დებულებანი ამიერ-კავკასიის კომიტეტისათვის.** საზამთრო შენობაში დროებითმა მთავრობამ კავკასიის და თურქესთანის მხრის ადგილობრივ მმართველების საკითხებზე კერძო თათბირი იქონია. დამტკიცებულია ძირითადი დებულებანი ამიერ-კავკასიის კომიტეტისათვის.

✦ **იარაღი გლეხებს.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა საჭიროთ სცნო ყოველ 20 კომლს მიეცეს ერთი იარაღი „ლებელის" სისტემისა და საჭირო რიცხვი პატრონებისა, რომ ამით სოფელმა შესძლოს თავი დაიცვას ბოროტ-მოქმედებისაგან.

✦ **სამხედრო შეღავათი** გაზეთის თანამშრომლებისა. მთავარ კომიტეტის გადაწყვეტით იცვლება ცირკულიარი გაზეთის თანამშრომელთა სამხედრო ბეგარისაგან დროებით განთავისუფლებისა მხოლოდ იმ თანამშრომლებს არ გაიწვევენ სამხედრო სამსახურში, რომელნიც 1899 წლამდე არიან გაწვეულნი. გაზეთს, რომლის ტირაჟიც 30,000 ცალს აღწევს, ეძლევა უფლება 5 თანამშრომელის დატოვების, 15,000 ტირაჟიანს 2 თანამშრმლის, 5000—15,000-დე კი მხოლოდ 1 თანამშრომლის.

— **მეცხვარეების ყრილობა.** აგვისტოს 19, საღამოს, თბილისში დაიწყო მეცხვარეების ყრილობა. ამ ყრილობაზე მოწვეულ იყვნენ ამიერ კავკასიის მეცხვარეები, მაგრამ კრებაზე გამოცხადდნენ მხოლოდ თბილისის გუბერნიის მეცხვარეები, რიცხვით 40-მდე კაცი მათშორის 15 თუში და 1 კაცი დაღესტნის ოლქიდან.

ეს ყრილობა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია; მიმდინარე წლის აპრილის 28 ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მტკიცე ფასები დააწესა მატყლზე, რომლის მიხედვით გაზაფხულის მატყლი ფასობს ფუთი 20 მან., ხოლო შემოდგომისა 26 მან. იმავე სამინისტროს განკარგულებით მატყლის ყიდვის უფლება ენიჭებათ მხოლოდ სტუკინისა და ზორგაგენის ფირმებს, როგორც მატყლის მიმწოდებლებს მხედრობის საჭიროებისათვის მომუშავე ქარხნებისადმი.

სამინისტროს მიერ დაწესებული ფასები მეცხვარეებმა იცოტავეს და სრულებით არ გაჰყიდეს მატყლი. აღნიშნულ ფირმების წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ მეცხვარეები მატყლს არ გაძლევენო და დახმარება სთხოვეს. კომიტეტმა თავისს მხრივ კავკასიის ს. სოფლო-მეურნეო საზოგადოებას სთხოვა ამ საქმის მოწესრიგება, ხოლო სამეურნეო საზოგადოებამ საკითხის გამოსარკვევად საჭიროდ სცნო მეცხვარეთა კრების მოწვევა.

ყრილობამ თავმჯდომარედ აირჩია მ. ვერმიშევი და უპირველეს ყოვლისა სურვილი გამოსთქვა, რომ გაუქმდეს სამინისტროს განკარგულება მატყლის ფასებისა და მონოპოლიის შესახებ.

პროვინცია.

✦ **ჭიათურა.** ქალაქის საბჭოს არჩევნები დანიშნულია სექტემბრის 15-ს.

სოფ. ალვისი. (ლეჩხუმის მაზრა) ნესტორ ჩხეტიანი, რომელიც ყვავილით იყო ავათ, მდ. ცხენის წყალში გადავარდა და დაიღრჩო.

ქ. ახალ. სენაკი ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების „ხალგაზდა სცენის მოყვარეთაგან შესდგა დასი მ. ღვამიჩავას ხელმძღვანელობით, რომელიც პროვინციებში მიემგზავრება წარმოდგენების მოსაწყობად დადგმული იქნება პიესები. ტრ. რამიშვილის „სახელისწეროდ დამბაჩა" და ვ. გუნიასი „არიკ-დარია" დასის მიზანი: ხელოვნების მსახურება და მისი სიწმინდის ღირსეულად დაცვა, ბრძოლა პროვოკაციის წინაამდეგ. პირველი წარმოდგენა გაიმართება 7 ენკენისთვეს სამტრედიაში' შემდეგ აბაშაში წარმოდგენები გაიმართება: ფოთში ხობში, ზუგდიდში და სხვ.

ღია ბარათი მღვდელს

მამა იოსებ წერეთელს, სიმონ ჭელიძეს და გერვასი ბარათაშვილს.

არც ნამეტანი თავაზიანობა ვარგებულა. თქვენ განგებამ და ბედმა გარგუნათ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის იმერეთის სამღვდელოების და საერო წოდების დელეგატთა პირველი კრებისათვის, რომელიც წასული ივლისის თვის 12 რიცხვს გაიმართა ქ. ქუთაისში, ხელმძღვანელობა გაგეწიათ. ამ პირველმა, თავისუფალი ეკლესიის თავისუფალმა კრებამ, ბევრი აღფრთოვანებითი აზრები გამოსთქვა ჩვენი საეკლესიო და საერო ცხოვრების მიმდინარე მომენტის შესახებ.

ყველა ამ კრებაზე დამსწრეთაგანი მზათ იყო თვისი ასი წლის ტყვეობიდან განთავისუფლებული ეკლესიისათვის ამბორი ეყო, მის წინაშე მუხლი მოედრიკა. მეც, როგორც, ჩვენი განთავისუფლებული ეკლესიის, ერთმა წევრმა და მოქალაქემ,სხვაზე არა ნაკლებ ამ დიადის საქმით გახარებულმა, განვიზრახე სიტყვიერი სიხარული საქმით დამემტკიცებია და ამისათვის ჩემი ვერცხლის მკერდის ჯვარი, ივერიის ეკლესიის ასი წლის უკანონო ტყვეობისა და მისი განთავისუფლების მოსაგონებლად და სახსოვრად დიდებულ ავტოკეფალიის საქმეს შევსწირე, მე მინდოდა ჩემ მიერ შეწირული ჯვარი ქვა-კუთხედად დადებოდა იმ ეროვნულ შენობას, რომელსაც სახელად ავტოკეფალია და ავტონომია ჰქვია. ჩემი განზრახვა მსწრაფლ სისრულეში მოვიყვანე და ხსენებული ჯვარი, თქვენ, როგორც პრეზიდიუმის შემადგენლობას, მოგართვით და იქვე თქვენ წინაშე მაგიდაზე დავსდევი.

დღეს, როგორც ცნობილი შევიქენი, ჩემ მიერ შეწირული ჯვარი თქვენ იმავე დღესვე დაგიკარგავსთ. ეს საზიზღარი საქმე თუ ვინ ჩაიდინა, მე არ ვიცი, ვინაიდან ჯვრის შეწირვის დღეს მე კრება ადრიანად დავსტოვე და მრევლში გავეშურე. ამ საქმის პრესაში გამოტანა მე არ მინდა, და რომ ეს სინამდვილეა თქვენთან ერთად კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი მ. იასონ აბესაძეც დაამოწმებს, რომლის თანდასწრებითაც მე მღვდელს ბარათაშვილს ვსთხოვე დაკარგული ჯვრის აღმოსაჩენად ზომები მიეღო. თვეზე მეტი გადის და თქვენგან ამ საქმის შესახებ არავითარი რეალური ნაყოფი არა სჩანს და ამისათვის მე ნამეტან თავაზიანობას თავი დავანებე და კატეგორიულად გეკითხებით თქვენ: 1) მართლა დაკარგეთ თქვენ ჩემ მიერ შეწირული ჯვარი თუ არა??, 2) და თუ არ დაგიკარგავსთ რა მსვლელობა მიეცით ჩემს შეწირულებას? პასუხს, ყოველივე მომავალი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ველი სამიდღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის დაბეჭვდისა,

მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე.

—

უმორჩილესად ვსთხოვ „საქართველოს" რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.—

მღ. მ. ბ.

პასუხი „ხაზეინს"*).

გულ დასმით გადავიკითხე ბ. ის. კვიცარიძის ჩერილი დაბეჭდილი ადგილობრივ „სოცია-დემოკრატი"-ს მე-115№-ში. მართლი გითხრათ, დიდი ხასიათის სიმტკიცის პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს აშმორებული ფრაზეოლოგია და ნაცოდვილევი ბოლომდი ჩააკითხოს.

გამწარებულია კვიცარიძე. რაღაც დახშულ ზიზღს ანთხევს იგი, ტალახსა და წუმპეში სურს ამოსვაროს ჩემი სახელი. რა უყო ლიტერატურულ ეთიკას ვერ მოვთხოვთ მას ამისთვის ის ძლიერ ვაჭარია; ვნახოთ ის მაინც, თუ სიმართლე რამდენათ აინტერესებს ჩვენ განრისხებულ ხაზეინს".

ერთი სენია დღეს მომეტებულათ გავრცელებული. შეიძლება ეს სენი საზოგადო მოღვაწეობის მანიათ მოვნათლოთ ყველა თავის პიროვნებას, თავის წარ ულს ქექავს, სურს იქ იპოვოს "შეურყეველი საბუთები" სოციალისტ საზოგადო მოღვაწისა, ხალხისათვის შრომა მუშაობისა და ამით სახელი მოიხვეჭოს, ავტორიტეტი გაიმტკიცოს მომეტებულ შემთხვევაში კი საზრდო იშოვოს, ან ვიწრო, ბრმა თავმოყვარეობა დაიკმაყოფილოს. (ვის მოატყუებენ ეს ვაჟბატონები, ასეთის „ფანდებით"? განა წარსულში სასიცოცხლო ძალების ძებნა აწმყოის უმოქმედობის და უსუსურობის სიმბოლო არ არის? უბადრუკობის ნიშან-წყალი გმირობის სახელით როგორ გასაღდება?) ასე მოსდის ბ. კვიცარიძესაც, მთელი ორი მესამედი მისი წერილისა მონდომებულია საზოგადო მოღვაწის და „მწიგნობრობი"-ს დიპლომის" ძებნას. და დიპლომი იგი იმდენათ უშინაარსო და წყალ-წყალა არის, რომ მის გაზეთის ფურცლებზე გადმოტანა „უქმახესია წმახისა".

უფრო საინტერესოა მეორე, მცირე ნაწილი წერილისა, სადაც ი. კვიცარიძე საბრალმდებლო ოქმს მიყენებს და „მოღალატის" სკამზე მაჯენს, მაგრამ ვფიცავ ყველას წმინდანებს და თვით კვიცარიძის საზოგადო მოღვაწეობასაც—არაფერი აქ, გარდა ბავშურ, ქვენა გრძნობების მიერ გამოწვეულ დაბეზღებისა—არაა. ვიცით ამ დაბეზღების მიზანი; მაგრამ ვერ გავიგეთ აზრი თვით „საბრალმდებლო ოქმისა". სილოვი"-ს ნაცოდვილები ასე იქნება: მე—ძველი მწიგნობარი, მ. ტყაბლაძე, ასე ვთქვათ ჩემი ნოქარი, მ. ტყაბლაძემ კანტორა გახსნა—მან მწიგნობრობას უღალატა.

ე. ი. მ. ტყაბლაძე მაშინ გახთა მწიგნობრობის მოღალატე, როდესაც ის მწიგნობარი შეიქნა, რადგან ის. კვიცარიძის მწიგნობრობის უმთავრესი დამამტკიცებელი საბუთი მისი ჟურნალ-გაზეთების კანტორაა.

მაშ, მ. ტყაბლაძე, თუ, რასაკვირველია კვიცარიძის თვალთა ხედვით ვიხელმძღვანელებთ, გამხთარა ისეთივე მწიგნობარი, როგორც ამდეხანს ის თვითონ იყო; ამისთვის საყვედურები კი, მრისხანე ალავ, ხომ იმას ედრება: „მე კარგი ვარ;—შენ—როგორ ბედავ კარგი იყოო'', და მოუვა ეს ისეთ ადამიანს, რომელიც სიხარბით, შურით და სიბრაზით დაბრმავებული თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს და არც უნდა რამე დაინახოს.

შემდეგ, აგვიხსენით ღვთის გულისათვის: განა ის კვიცარიძის და მწიგნობრობა სინონიმებია?—ჭკუით მყოფელი უპასუხებს: „არა". მაშ' თუ მ. ტყაბლაძემ -გაზეთების კანტორა გახსნა მწიგნობრობას უღალატა, თუ მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი „ხაზეინს"—კვიცარიძეს ჩამოშორდა და არ უღალატა (ეს სიტყვა აქ უადგილოთ არის მიტმასნილი შურით ბინდ გადაკრული გოხებისგან, რადგან ღალატი ორ თანაბარ უფლებით და საქმის წარმოებით პიროვნება ამხანაგთა შორის, რომლებიც შეკრული არიან ურთიერთსადმი იურიდიულ, ან ზნეობრივ ფორმებით. ჩემი დამოკიდებულება კი კვიცარიძისადმი (კარგათ დაიხსომოს ეს მან) ვერ ცდილობდა ნოქრის საზღვრებს და დიდი, თანამშრომლობას თუ დაედრებოდა. შემდეგ დაუჯეროთ ერთ წამს კვიცარიძეს, რომ მე მოღალატე ვარ მწიგნობრობისა. თავისთავად ცხადია, ასეთი ვიქმნებოდი ყოველთვის. ეხლა შევეკითხოთ: რანაირათ შესძლო მან ასეთ „მწიგნობრობის". ბეჭდვითი საქმისი „უვიც" და "უცოდინარ" „მოღალატე" ტყაბლაძის შვიდი-რვა წელიწადი თანყოლა?! ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც ვერ შეძლო მან, უებარმა მწიგნობარმა და საზოგადოების ასეთ გულ შემატკივარმა მის გვერდით მდგომ „უვიც" და ზნეობრივ შუფერებელ ადამიანის მხილება და გაცილება თავისგან? და თუ დავრჩი,—ნუ თუ ვერაფერი ვისწავლე, ცოტა რამე მაინც მომეცხებოდა განრისხებულ ალას საზოგადო მოღვაწეობა—მწიგნობრობისა?

დაგიგვიანდათ ხაზეინ, ძლიელ დაგიგვიანდათ. მაინც ეს რომელ შკაფის გადაცემაზე ლაპარაკობთ, ახ რა პირობა იყო ჩვენს შორის დადებული, რომლის „გადათეთრება" ასე დაგიყონებიათ—სტყუით! შკაფი მე თქვენ კი არა, თვით „კონტრაგენსტვომ" გადმომცა თვით რწმუნებული ნასყიდობის მეოხებით. მაშინ, როდესაც თქვენი მისდამი ნდობა, შეირყა, საქმე თქვენი უთავბოლობით აგეწეწ-დაგეწეწათ. საწინდარი—500 მ. მე გადავიხადე. შკაფი ჩემს უფლებაში იყო. ჟურნალ გაზეთებს მოგაწვდით იმ შემთხვევაში (სიტყვიერ შეთანხმების გამო, და არა რაღაც პირობების ძალით) თუ კი ანგარიშს გაასწორებდით სინიდისიერათ. ეს რა ხთებოდა ყოველთვის. მით საქმე ბრკოლდებოდა. სუვორინი მე ტყვილა არაფერს მომაწვდიდა. სადაური ჭკუა-კვიცარიძეს ტყვილა გაზეთები—მას ფულები, მე კი მხოლოდ პასუხის მგებლობა და მკითხველ საზოგადოების ცარიელზე დასმა. ორში ერთი: ან კვიცარიძე იყო შკაფის გამგე ან მე. გარდა ამისა კვიცარიძეს წარსული ავიწყდება თვით უმწიკვლო პიროვნებათ მოაქვსო თავი—მე მოტყუილებას და ღალატს მწამებს, შეუდარებელო მწიგნობარო! აღარ გახსოვთ ორასი მანეთის ისტორია ამ ექვსი წლის წინეთ მომხთარი, როდესაც საქმეში ჩამიტრიეთ, შკაფი ავიღეთ ერთად, 200 მან. ბე იყო ჩემი მხრით, საქმეს ერთად ვაწარმოებთ, პირობა ორივეს სახელზე იქნება. მერმე რომ იზარალეთ თქვენ გაინაღდეთ,—ჩემი? პირობაზე ხელი არ გიწერია—მონაწილე არა ხართო—ამით ჩალა ამოვლებული აქეთ გამომისტუმრეთ. და ეს იმ დროს, როდესაც მე რუსის ფარაჯაში გახვეული, უკიდურესათ გაჭირვებული და შევიწროებული სამშობლოდან მივემგზავრებოდი, რომ შემდეგ კარპატების ცეცხლში გამოვლებული, სისხლიდან დაცლილი და ხელ მოწყვეტილი უკანვე დავბრუნებულვიყავ, შემდეგ ჩვეულებრივი ულუკმოპურობა, ადგილის ლიტინი, ქუჩებში გაზეთების ტარება—დილის ოთხი საათიდან ღამის 12—დის ხაზეინის სახლსა და ვაგზლის შორის სიარული შიმშილი, წვალება, და ყოველივე ის ნარ ეკალი, რომელითაც მოფენილია საზოგადოთ მუშაკის სავალი გზა.

კვიცარიძე სოციალისტებთანაც კი მაბეზღებს, ამდაგვარ გაზეთების გამოწერას უკლო თან'და თანო. ბრძენო მრჩეველო! მობძანდით და იხილეთ თქვენი ლამაზი თვალით, იხილეთ, უკელი თუ არა სოციალისტურ გაზეთების გამოწერას—კანტორა, აი შკაფიც და ნუ თუ ჩემ მკითხველთა შორის არც ერთი ესერი, ან მეუმრავლესე არაა, რომ მისგან ვერ გავიგონე მე ესეთი საყვედური: მაინც დაიხსომეთ: ცხენს რომ ვერ მოერიოთ, უნაგერს ნუ დაამტვრევთ. თორემ მეტ ზარალში მოხვალთ. და შეიძლება თქვენი „წერილები" და "პროტექციისთვის" ოფლის ღვრა დაგავიწყდათ, თანაც თქვენი „ნათელი„ პიროვნება, კიდევ უფრო ნათელს იღებს.

ჯერ ეს იკმარეთ. **მ. ტყაბლაძე.**

წერილი რედ. მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირებს, რომელთაც შემოსწირეს სოფ. ღარიხევის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ასაგებათ: 1) ერ. დეკანოსისძემ 5 მ.; 2) ერმ. დეკანოსიძისას 10 მ.; 3) ან. დეკანოსისძისამ 10 მ.; 4) მაქსიმე კამკაშიძის მოსახსენებლათ 10 მ.; 5) კამკამიძისამ 10 მ.; 6) კეს. კამკაშიძისამ 3 მ.; 7) ვ. კამკაშიძემ 2 მ.; 8) მაქ. კამკაშიძემ 5 მ.; 9) სერ. დეკანოსისძემ 3 მ.; 10) მ. ოკრიშელაშვილმა 5 მ.; 11) ა. მესხმა 5მ.: 12) არ. ბლუაშვილმა 5 მ. 13) ზ. ხახალაშვილმა 2 მ.; 14) ტრ. კამკამიძემ 5 მ.; 15) ოქ. კამკამიძემ 5 მ.; 16) დომ. გრ. ჰიპაშვილმა 3 მ.; 17) მოსე დეკანოსიძემ 5 მ.; 18) ანდ. კამკამიძისამ 6 მ.; 19) ტარ. კამკამიძემ 3 მ.; 20) ლიზა კამკამიძისამ 5.; 21) თებ. ბანცარისამ 1 მ. და 50 კ.; 22) კალ. ბანცაძირამ 5 მ.; 23) სოფ. დეკანოსიძისამ 5 მ.; 24) ნატ. დეკანოსიძისამ 5 მ.; 25) ალ. დეკანოსიძისამ 3 მ.; 26) ნიკ. ჰიპაშვილმა 5მ.; 27) ევთ. დეკანოსიძემ 3 მ.; 28) გ. მაკ. დეკანოსიძემ 3 მ., 29) ერმ. ასათიანმა 5 მ.; 30) ბეს. კამკაშიემ 3 მ.; 31) დომ. კამკაშიძისამ 3 მ.; 32) ხნნა კამკამიძისამ 3 მ.; 33) შამშე კიკნაძემ 2 მ.

მღ. **პეტრე მიხელიძე.**

——

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ს. სალხინოში (საჩინოს მხარე) ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენის [1]შემოსავალ-გასავალის ანგარიშის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბილეთებიდან შემოვიდა 250 მ., ბუფეტიდან 498 მ., ფოსტიდან 7 მ., შემოწირულება კი უდრიდა 48 მ. ამგვარად მთელი შემოსავალი იყო 803 მ. 65 კ. აქედან სცენის საჭიროებისათვის დაიხარჯა 98 მ. 50 კ. და ბუფეტისთვის-338 მ.-90 კ. სულ 437 მ. 40 კ. წმინდა შემოსავალი, რომელიც ს. სალხინოს სამკითხველოს საჭიროებისთვის გადაეცემა ს. [illegible] ადგ. კომიტეტის წევრს, არის 368 მ. 15 კ.

ამასთანავე ნება მიბოძეთ პირადად მე და წარმოდგენის მომწყობ კომისიის სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სცენის მოყვარეებს და საერთოდ იმ პირთ, რომლებმაც კეთილინებეს და წარმოდგენის მოწყობაში პირადი მონაწილეობით თუ ნივთიერი შემოწირულებებით დახმარება გაგვიწიეს.

შემომწირველთა სია: თხუთმეტი მანეთი: სანდრო ვლასისძე ლორთქიფანიძემ და მაქსიმე კორძაძემ. თუმანი დათიკო ძიგრაშვილმა. ხუთი მანეთი ა. მომფორიამ და სამი მანეთი ამბროსი ჩახუნაშვილმა. სულ—48 მანეთი.

ს. სალხინოს წარმოდგენის მომწყობ კომისიის მონდობილობით.

იონა ჯანელიძე.

---

*) ამ წერილების შემდეგ კამათს ვსპობთ.

[1] იხ. გაზ, „ჩვენი ქვეყანა" № 102.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47 წ.
„	— საღამ. —	8 ს. 49 „
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55 „
„	— ღამის —	11 ს. 42 „
„	— დილის —	10 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17 „
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. „
	დილის —	9 ს. 10 „
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25 „
„	— ღამის —	10 ს. 20 „
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 1 „
„	— დღით —	1 ს. 40 „
„	— დილის —	6 ს. 20 „
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57 „
	— დღით —	2 ს. 37 „
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40 „

ექიმები

ი. ჩარექოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში მესხმა „606" და „914") დღით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხა. ტელეფონი 135 №.

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ ქ. საკუთარი ს. 7. თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალაქ.,ვენერიულ და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 11—2 სათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, [illegible] სახლი

გოტინგენის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსაშვილი დაბრუნდა და [illegible] ავადმყოფებს დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე, მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო
და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების
გაზეთზე

1917 „საქართველო" 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზ. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობრივ შესაძლებლად ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. კანტორა ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფონი 15—73.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო"

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელის სახლი, ქუთაისში